

ბათუმის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად
განცხადების ფასი:

1 გვერდზე პერიტივ სტრიქონი	20 მან.
4 " " " " " "	15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმე

ხელმოწერა წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შე-
სახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა
იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე
№ 13 დილის 11 საათ. 2 საათის. სარედაქციო კოლეჯის
მდივანის ნახვა შეიძლება შაბათის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 45

ყოველ-ღლიური დემოკრატიული ორგანო

№ 45

ელექტრო თეატრი „ა ზ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

სამშაბათს, 2 ნოემბერიდან იქნება ნაჩვენები ახალი სურათი

იუგ დაწვეული სილამაზეუნი!

დრამა 5 ნაწ. გამოჩენილი მსახიობის მარია კარმას მონაწილეობით.

ან ო ნ ს ი. სამშაბათს 6 ნოემბერიდან იქნება ნაჩვენები ახალი სურათი

მეორე მხარეზე ოცნება.

ყურადღება: ამ დღეებში მასკა თეთრი კვილეობით.

ლია ჰაერზე, ახალისპეცილოური საზაფხულო ელექტრო თეატრი

„ს რ ი უ გ ფ ი“

ნ. ბროვალ-სხირტლაძის

სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველი ხარისხის მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

ოთხშაბათიდან, 1920 წლის 3 ოქტომბრიდან იქნება ნაჩვენები ჯერ ბა-
ლოში რომ არ ყოფილა ისეთი სურათი.

შეუმჩნევლათ ცრემლები ცვივა.

დიდი საინტერესო დრამა გამოჩენილი მსახიობების მონაწილეობით.
დასასრულ

ზედამხედველი სერჟანტინი

მეტად სასაცილო სურათი.

ან ონსი. კვირიდან 7 ნოემბერს გაიხსნება საზამთრო სეზონი.

დაიდგმება გამოჩენილი სურათი
იტალიური ფირმის ანნა კარენინა.

ოლღას და შებელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ

გ ა ი ხ ს ნ ა

ლოტო

საქველმოქმელო მიზნით.

ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

პარასკევს 5 ნოემბერს საღამოს 5 საათზე ქართული შკოლის შენობაში

(კამაროვის ქ. № 47).

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზ. ც. კ. წევრი

ახ. ევგენი წულაძე

წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე.

მუშათა მოძრაობა ინგლისში.

მოხსენების შემოსავალი გადაიდება ადგილობრივი ორგანიზაციების
კომიტეტის სასარგებლოთ. ბილეთები 25—50 მ.

ვლადიკავკაის და შერემეტევის ქუჩის კუთხეში ხე ტყის საწყობში და
სახერხ ქარხანაში მაქვს ახლად მოწყობილი

პირველ ხარისხის საფეხავი

წ ი ს ქ ვ ი ლ ი.

საფეხავს ვლებლობით ბითუმით და წვრილთაღ შელავითიან ფასებში

შალვა იოსების-ძე ჭყონია.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ბათუმის მუშათა მაგიდა

ამით აცხადებს, რომ

სამ ამა ნოემბრიდან იათ-ფასიან სასადი-
ლოებში სადილი ედირება 50 მანეთი ნა-
ცვლად 60-სა.

ბათუმი, 3 ნოემბერი.

საგარეო პოლიტიკის მოვალეობა
რაც შეიძლება მალე განამტკიცოს
და გამოარკვიოს რესპუბლიკის სახელ-
მწიფურ-იურიდიული სახეობა საერთა-
შორისო ურთიერთობის თვალთახე-
დვით.

ამ მხრით ხმარებულ უნდა იქმნას
რეალურ პოლიტიკის მაქსიმუმი და
ისეთ ქვეყნებთან, შინც რომელთა
საზღვრები ჩვენს სახელმწიფოს ახლო
უვლიან, უნდა დამთავრდეს ბუნდო-
ვანი განწყობილება

საბერძნეთი ამ დროში მსოფლიო
ანგარიშის და ყურადღების საგანია,
რომელსაც დიდი როლი აქვს აღებუ-
ლი აღმოსავლეთის საკითხში.

ამ სახელმწიფოსთან ჩვენ ამდენ
ხანს უნდა დაგვეჭირო დიპლომატიუ-
რი და სხვა სახის ურთიერთობა.

საქართველოში დიდძალი ბერძნო-
ბა სცხოვრობს, ჩვენი ნათესადგურე-
ბი დასახლებული ბერძნებით, გარ-
და ამისა საქართველო კავკასიის
კულტურისანი და სახელმწიფოებრი-
ვი ელემენტია, რის გამოც საქართვე-
ლოთი საბერძნეთი საკმაოდ არის
დაინტერესებული.

საბერძნეთში ერთი ქართველიც
რომ არ იყოს შინც სასარგებლოა
ამ სახელმწიფოში მისიის გაგზავნა.

ჩვენი „დე იურე“-ს ცნობას პირ-
ველ ყოვლისა ჩვენ მეზომელ საბერ-
ძნეთში უნდა შევცდილიყავით და
ეჭვი არაა მიზანსაც მივალწვედით.
ისეთი ერთ რომელსაც თავის სხეულით
განუცდია მინური წამება, ეროვნუ-
ლი ტყვეობა და უგრძობია ეროვნ-
ულ განთავისუფლების სიდიადე (და
აქი ასეთი იყო ჩვენთადმი ი. ალია)
ვერასოდეს ურწყავს საქართველოს
„დე-იურეს“, აღიარებას.

დღეიდან ნულარ დავაყოვნებთ და
გავგზავნით საბერძნეთში მცირედიპ-
ლომატიური მისია, ამ მისიის მნიშ-
ვნელობა ნიშანდობლივი იქნება აგ-
რეთვე ამიერკავკასიის და კერძოთ
ჩვენ თანადროულ პოლიტიკის გე-
ზის აღებისათვის.

გარდა ამისა საბერძნეთში ამ ეა-
მად ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ ტე-
ხნიკური მასალა და სხვა და სხვა
სახის სურსათი, სხვათა შორის გე-
მებიც, რომელიც იქ საჯარო ვა-
კრობით იყიდება და საბერძნეთის პა-
სუხისმგებელ წრეებს სურვილიც კი
აქვთ, რამდენადაც ჩვენ გაკოფეთ,
რომ ეს გემები ფრიად შეღავათიან
პირობებში მეზომელ საქართველოს
შეასყიდვიონ.

საბერძნეთთან ურთიერთობის და-
ქერა დღევანდელი მომენტის ბრძა-
ნებაა, მთავრობამ ამ კითხვას სასწრა-
ფოდ უნდა მოუაროს.

პ რ ე ს ა.

ერთობა“ ეხება პარტიული თათ-
ბორის დადგენილებათა ცხოვრებაში
გატარების საკითხს და შემდეგს სწერს:
„ჩვენ შეთვისებული გვაქვს ის
აზრი, რომ ყველაფერი, რაც სა-
ხელმწიფოს შეეხება, უნდა კეთდე-
ბოდეს ვილაციის მიერ, ხალხისათ-
ვის უჩინრად, რომ სახელმწიფო სა-
ქმეებისათვის პასუხისმგებელია მთა-
ვრობა და სხვა არავინ, რომ ხალ-
ხის კეთილდღეობაზე ზრუნვა ჩხო-
ლოდ მას ევალება და ხალხი კი
ამ საქმეებში აქტიურად არ უნ-
და ვრეიდეს.

ჩვენ გვაშინებს, ჩვენი აზროვ-
ნების ასეთმა ჩვეულებამ თავი არ
იჩინოს დღესაც, როდესაც საში-
ნელი კრიზისისაგან ხსნა ჩვენი
ქვეყნისა იმაზე დამოკიდებული,
ჩაებმთან თუ არა მასთან ბრძოლა-
ში მთელი ხაზის ფართო წრე-
ები. რამდენათაც უფრო ძლიე-
რად მოედება ხალხს „საღვთო
ძრწოლა“ იმ საურთხის გამო,
რომელშიაც იშყოფება რესპუბლი-
კა, მით უფრო დიდი იქნება იმე-
დი მისი ხსნისა“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ რესპუბ-
ლიკის ზოგიერთ ქალაქების და ერო-
ბების კუთხური, დამოუკიდებელი
პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებს ცენ-

